განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

სსიპ კოლეჯი „აისი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები:

ნინო ძაგანია

თამარ ახალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „აისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **227770800**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის **2019 წლის 21 ნოემბრის №1124 ბრძანების** საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი **„ვეტერინარიის“, „კულინარიის ხელოვნების“, „ხის მხატვრული დამუშავების“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, **2019 წლის 9, 10 და 11 დეკემბერს** განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) ვიზიტი **სსიპ - კოლეჯ „აისში“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ.კაჭრეთში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამრეკლოში და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ.შრომაში**

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა კოლეჯის მიერ ცენტრში წარმოდგენილი პროგრამების დამატების შესახებ განაცხადები და თანდართული დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი **(დანართი.1)** რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ყველა აქტივობა. დაწესებულებამ უზრუნველყო დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების ორგანიზება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტის დროულად და შეუფერხებლად მოწოდება.

სსიპ კოლეჯი „აისი“ **ავტორიზებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებით**, და ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე მილევად რეჟიმში ხორციელდება პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამრეკლოში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ.შრომაში და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ.ალვანში.

ამ ეტაპზე კოლეჯს დამატების მიზნით წარმოდგენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ვეტერინარია“, „კულინარიის ხელოვნება“, „ხის მხატვრული დამუშავება“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“. „ვეტერინარიის“, „ხის მხატვრული დამუშავების“ და „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამრეკლოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ.შრომაში.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, კოლეჯში და პრაქტიკის ობიექტებზე განხორციელებული ვიზიტების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, **ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ წარმოდგენილი პროგრამები აკმაყოფილებს ავტორიზაციის ყველა სტანდარტს** და კოლეჯი შეძლებს განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

- **„ვეტერინარია“** - 30 პროფესიული სტუდენტი
- **„ხის მხატვრული დამუავება“** - 30 პროფესიული სტუდენტი
- **„კულინარიის ხელოვნება“** - 30 პროფესიული სტუდენტი
- **„ბუღალტრული აღრიცხვა“** - 30 პროფესიული სტუდენტი (15 სტუდენტი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფ.შრომა, 15 სტუდენტი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფ.სამრეკლო)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

- ვეტერინარიის პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში დაზუსტებული იქნას რომელი მოდულის/ ან სწავლის შედეგის ფარგლებში განხორციელდება კოლეჯსა და დაწესებულებას შორის ურთიერთთანამშრომლობა.
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აისახოს ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

თეორიული და პრაქტიკული სასწავლო საქმიანობის განხორციელებით მიზანდასახული, კონკურენტუნარიანი და მაღალი ზნეობის პროფესიონალების მომზადება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ამ ეტაპზე კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული შემუშავებული 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ვეტერინარია“, „კულინარიის ხელოვნება“, „ხის მხატვრული დამუშავება“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ 2019 წლის 7 ოქტომბრის №02-01-104 ბრძანებით. თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.
პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

ვეტერინარია
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს, ჯამური 16 კრედიტის მოცულობით; 18 პროფესიულ მოდულს, ჯამური 64 კრედიტის მოცულობით და 8 კლინიკური სწავლების მოდულს ჯამური 40 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 120 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 150 კრედიტი, რომელთაგან 120 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 (30კრედიტი)
პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ასოცირებული ხარისხი ვეტერინარიაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან)/მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ვეტერინარია“, კოდი 0841, აღმწერი - „შეისწავლის ცხოველების დაზიანებებისა და დაავადებების პრევენციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, ასევე მათ ზოგად მოვლას. მოიცავს ვეტერინარულ კლინიკაში ავადმყოფი, დაშავებული და დაუძლურებული ცხოველების მკურნალობას. ასევე მოიცავს ვეტერინარის ასისტენტის პროგრამასაც.“

კოლეჯს პროგრამის მიზანშეწონილობაში მითითებული აქვს რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება განპირობებულია კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევებით, რომლის მიხედვითაც მოსახლეობა დაინტერესებულია აღნიშნული პროფესიის შესწავლით. კახეთის რეგიონის წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან შეხვედრების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოიკვეთა მოთხოვნა ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ასევე, ქვეყნის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმების მიხედვით ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს აგრარული სფერო. ქვეყანა განიცდის ამ სფეროს კადრების დეფიციტს, რაც აფერხებს დარგის განვითარებას. აღნიშნული პროფესიის დანერგვა ხელს შეუწყობს კახეთის მოსახლეობის დასაქმებას, თვითდასაქმებას და მათ ეკონომიკურ განვითარებას. სასურველი იქნებოდა კოლეჯს გამოეყენებინა სტატისტიკური მონაცემები, შრომის ბაზრის ანალიზი, სხვადასხვა კვლევები და ანგარიშები, რაც უფრო მეტად დაასაბუთებდა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას.

ბუღალტრული აღრიცხვა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს 88 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 129 კრედიტი, რომელთაგან 99 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 (30კრედიტი). სწავლების ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 18თვეა , ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 23,5 თვე. პრაქტიკის განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ლიჩელთან“ (#43, 21.02.2019)

პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“

წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია „სასტუმრო, რესტორანი და კვება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე; 10117-პ. პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმა ასევე თანმიმდევრულია და დაცულია მოდულების წინაპირობები (კულინარიის ხელოვნების შემთხვევაში არცერთ მოდულს არ აქვს დაშვების წინაპირობა). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში. პროგრამის განხორციელების ადგილია სოფელი კაჭრეთი; 30 ადგილი; პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 80 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 95 კრედიტს. პროგრამას აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანმიმდევრული სტრუქტურა. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.
კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი რესტორან „თავადურთან“, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, მაიაკოვსკის ქ. 2/4 (16.05.2019 – 6 წლის ვადით)
პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება კოლეჯი „აისის“ ტერიტორიაზე არსებულ C გარემოში, ე.წ. სასწავლო სახელოსნოში.

პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“
წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია „ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე; 02123-პ. პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმა ასევე თანმიმდევრულია და დაცულია მოდულების წინაპირობები (კულინარიის ხელოვნების შემთხვევაში არცერთ მოდულს არ აქვს დაშვების წინაპირობა). მისანიჭებელი კვალიფიკაცია- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში. პროგრამის განხორციელების ადგილია სოფელი კაჭრეთი; 30 ადგილი; პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შესადგენს 85 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 100 კრედიტს. პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.
კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „გრანდთან“ რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, წერეთლის გამზ. 117 პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება კოლეჯი „აისის“ ტერიტორიაზე არსებულ C გარემოში, ე.წ. სასწავლო სახელოსნოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არსებობს 2019 წლის კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის ისტორიის, მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ, სტრუქტურა, პროფესიული პროგრამების ჩამონათვალი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება. პარტნიორი ორგანიზაციები, საკონტაქტო ინფორმაცია. კატალოგი ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.http://www.collegeaisi.ge/

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კატალოგით;
- ვებგვერდით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 9 ოქტომბრის N 02-01-107 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული რეგულაცია გაწერილია კოლეჯის დირექტორის 09.10.2019წ. # 02-01-107 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე. საჭიროების შემთხვევაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სთავაზობს გარე მობილობას იმ ალტერნატიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც მას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან (სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერები, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, იურისტი, ზრდასრულთა განათლების კორდინატორი, სასწავლო პროცესის მენეჯერების ასისტენტები) და პროგრამების ხელმძღვანელებთან / პროგრამის განმახორციელებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით. კონტოლს დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხზე ახორციელებს კოლეჯის დირექტორი. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელეშეაფასე-განავითარე“ მოდელზე, რომლის შესაბამისად ხარისხის მართვის სამსახური გეგმავს თავის საქმიანობას, განსაზღვრავს კოლეჯისსაქმიანობის შესამოწმებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს, ჩასატარებელი შემოწმების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შემმოწმებლ(ებ)ის კომპეტენციებს, უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს ხარვეზების წარმოქმნის მიზეზებს და აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - კოლეჯი „აისის“ ძირითადი სასწავლო კორპუსი მდებარეობს **გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში** [redacted] საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა **სახელმწიფო** რომელსაც სარგებლობის უფლებით 65 000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები გადაცემული აქვს კოლეჯისათვის, კოლეჯის არსეობობის ვადით. კოლეჯის ძირითადი შენობების ფართებია შენობა N1 – 1608.8 კვ.მ, შენობა N3 – 1706.2 კვ.მ, N4 – 4075 კვ.მ ასევე ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია მეცხოველეობის ფერმა. დედოფლისწაროს მუნიციპალიტეტის სოფ.სამრეკლოს [redacted] და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ.შრომაში [redacted] არსებული მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა ასევე სახელმწიფო და ამ შემთხვევაშიც კოლეჯთან გაფორმებულია სარგებლობის ხელშეკრულება

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფ.კაჭრეთი	7390 კვ.მ
2	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფ. სამრეკლო (ჯაფარიძე)	13328 კვ.მ მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით
3	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფ.შრომა	1490.70 კვ.მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო პროგრამისათვის **„ვეტერინარია“** დაწესებულებას გურჯაანის რ- ნი სოფ. კაჭრეთში მდებარე სასწავლო კორპუსში გამოყოფილია აქვს ფართი 15 პროფესიულ სტუდენტზე. შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი A და C გარემო. ასევე 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი B გარემო. კოლეჯის A გარემოში განთავსებული იყო ვეტერინარისათვის ყველა საჭირო სამანიპულაციო იარაღი.

კოლეჯის ეზოში მოწყობილი მეცხოველეობის ფერმა, რომელიც აშენებული და აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სადაც სრულიად შესაძლებელია მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის მოვლა შენახვა ბაგურ პირობებში სასწავლო მიზნებისათვის.

კოლეჯს აქვს პორტატული ვეტერინარული აღჭურვილობა, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ ვეტერინარმა სამკურნალო თუ პროფილაქტიკური ღონისძიებები განხორციელოს სასწავლო ფერმაში.

სასწავლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში მითითებულია, რომ პროფესიული პროგრამით განსაზღვრული კლინიკური მოდულების სწავლება უზრუნველყოფილი უნდა იქნას **შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.** ასევე: შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, კლინიკური სწავლების მოდულების გარდა, შესაძლებელია ითვალისწინებდეს დამატებით სხვა მოდულების საწარმოო პირობებში სწავლებასაც.

კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი **სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიასთან** - 12 აგვისტო 2019 წელი. რომლის მიხედვითაც სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია უზრუნველყოფს: პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას, რეალურ სამუშაო გარემოში გამოცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები), ასევე სწავლების პროცესში დაიშვას იმ აღჭურვილობაზე წვდომა/ გამოყენების უფლება, რომელიც გამოიყენება ფაქტობრივ სამუშაო გარემოში. ლაბორატორია ვალდებულია თითოეულ ჯგუფს განუსაზღვროს პასუხისმგებელი პირი და მიაწოდოს კოლეჯს იმ პირთა რეესტრი, რომლებმაც გაიარეს პრაქტიკული სწავლება.

კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება **ვეტერინარულ კლინიკასთან „New vet"** 21.02.2019 კოლეჯი შპს „New vet" - თან ერთად უზრუნველყოფს პროფესიული კოლეჯის სტუდენტებისათვის კლინიკური სწავლების მოდულის გავლას. კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებას, სტუდენტის შეფასებას, პრაქტიკის ობიექტსა და კოლეჯს შორის ინფორმაციის გაცვლას.

კოლეჯს გაფორმებული აქვს ასევე ხელშეკრულება სასაკლაოსთან „შპს "იორი-G".

„ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების სწავლებისთვის საჭირო აუდიტორია (A/B ინტეგრირებული გარემო) თითო ოთახი 15 პროფესიულ სტუდენტზე (ლაგოდეხი - 15, დედოფლისწყარო - 15)

ყველა პროგრამისათვის უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით და შესაბამისად პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში სამივე მისამართზე არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესაბამისი ხელშეკრულებებით;
- ანგარიშ-ფაქტურებით;
- საგადახდო დავალებებით (გადარიცხვის ქვითრებით);
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლებიც თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში რეგისტრაცია და მკითხველის ბარათის წარმოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ძირითადი ლიტერატურა აქვს ელექტრონულ მატარებლებზე, შესაბამისად სტუდენტს თავისუფლად ექნება წვდომა ელექტრონულ სასწავლო რესურსებზე, გამომდინარე იქიდან, რომ კომპიუტერებში პროგრამებისა და მოდულების მიხედვით ჩატვირთულია ელექტრონული რესურსები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული. ექსპერტთა მიერ შერჩევითობის პრინციპით შერჩეული წიგნები ყველა აღმოჩნდა ადგილზე.

დასტურდება:

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით
- ადგილზე დათვალიერებით
- ინვენტარიზაციის წიგნებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში, ფილიალებს შორის კომუნიკაცია ხდება ტელეფონით, ელ-ფოსტით, ინტერნეტით კოლეჯს აქვს 200 ზე მეტი კომპიუტერი, აქედან 50 მდე გამოიყენება უშუალოდ დაწესებულების პერსონალის მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარიზაციის აქტებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შესყიდვის/მოსახურების ხელშეკრულებებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, საქმისწარმოებაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის სისტემა „Eflow". მატერიალური სახით ხდება დირექტორის ბრძანებების რეგისტრაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების წესით;
- აღრიცხვის ჟურნალებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების წესები და წესრიგის დაცვის და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი. ყველა კორპუსი აღჭურვილია კამერებით. შენობებში შემუშავებულია საევაკუაციო გეგმები და განთავსებულია ცეცხლმაქრები, ყველა მისამართზე ასევე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი რომელსაც ემსახურება მედდა. წესრგის დაცვას უზრუნველყოფენ დაცვის თანამშრომლები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უსაფრთხოების წესებით;
- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციით;
- საევაკუაციო გეგმებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო კოლეჯის სამივე მისამართზე. არსებული სასწავლო კორპუსები ადაპტირებულია სსსმ სტუდენტებისათვის, შენობებში ფუნქციონირებს ლიფტი, კაჭრეთში, მეორე კორპუსში (კულინარიის ხელოვნების A და C გარემომდე) მისასვლელ კიბეზე მოწყობილია ასაკეცი ლითონის პანდუსები. ყველა მისამართზე ხელმისაწვდომია ადაპტირებული სველი წერტილები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, http://www.collegeaisi.ge/ განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, კოლეჯის მისია, ისტორია, სტრუქტურა, პედაგოგები, კატალოგი, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სამართლებრივი აქტები, სიახლეები. ასევე განთავსებულია ანონსი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ http://collegeaisi.ge/news/siaxle-sul-male-axali-profesiuli-saganmanatleblo-programebi-
ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ბოლო განახლების თარიღია 09.12.2019

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით;
- დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებით.
-

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს ახალი 2014-2020 წლების სტრატეგიული გეგმა და 2019 წლის სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული მიზნებია:

- კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული განვითარება, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსების განვითარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ;
- კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის.
- სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯს მოიზიდოს დამატებითი ფინანსური სახსრები და ასევე ხელი შეუწყოს სტუდენტებს პრაქტიკული სწავლების გაღრმავებაში.
- ხელოვნების სფეროს პროფესიების განვითარება
- ტურისტული ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო მაღალ დონეზე მოწყობა, საცხენოსნო ტურიზმის და აგრარული ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2014-2020
- ერთწლიანი სამოქმედი გეგმა 2019

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის საშტატო განრიგი - თანამდებობები, თანამდებობების რაოდენობა და თანამდებობრივი სარგო შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

დაწესებულებაში შემუშავებულია თანამშრომელთა ფუნქციური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები, ასევე შედგა გასაუბრება ადმინისტრაციასთან და დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ შემუშავებულ მოთხოვნებს და დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საშტატო განრიგით;
- პირადი საქმეებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.
ვეტერინარია - 30 პროფესიულ სტუდენტზე - 8 განმახორციელებელი პირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხის მხატვრული დამუშავება - 30 პროფესიულ სტუდენტზე - 12 განმახორციელებელი პირი
კულინარიის ხელოვნება - 30 პროფესიულ სტუდენტზე - 11 განმახორციელებელი პირი
ბუღალტრული აღრიცხვა - 15 პროფესიულ სტუდენტზე - 4 განმახორციელებელი პირი (ლაგოდეხი, ს.შრომა)
ბუღალტრული აღრიცხვა - 15 პროფესიულ სტუდენტზე - 4 განმახორციელებელი პირი (დედოფლისწყარო ს.სამრეკლო)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (ჩამოყალიბების/ბაკალავრიატის)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ვეტერინარია (მოდულური)	მეხუთე დონე/ საფეხური	ასოცირებული ხარისხი ვეტერინარიაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან)/ მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 0841 01252	120	150	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	0	30
2	ხის მხატვრული დამუშავება (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	85	100	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	0	30

30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3	კულინარიის ხელოვნება (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013	80	95	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	0	30
4	ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო	0	15
							ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფ.შრომა	0	15

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ქ. თბილისი **10.01.2020**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: